დანართი N3
ვამტკიცებ
შპს ქუთაისის სამედიცინო სკოლის რექტორი
2019 წლის 16 იანვარი
N 1/05 ბრძანებით

შპს ქუთაისის სამედიცინო სკოლა

ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი

ქუთაისი 2019 წ

მუხლი 1. ზოგადი დებულებანი

1.1.წინამდებარე წესი არეგულირებს **შპს ქუთაისის სამედიცინო სკოლის** (შემდგომში - სკოლა) ბიბლიოთეკის მუშაობის წესს.

მუხლი 2. ბიბლიოთეკის დანიშნულება და ფუნქციები

2.1. სკოლის ბიბლიოთეკა ასრულებს სასწავლო, ინფორმაციულ და საგანმანათლებლო ამოცანებს, აქტიურად უწყობს ხელს კვალიფიციური სპეციალისტების მომზადებას, სასწავლო აღმზრდელობითი პროცესის, მაღალ დონეზე წარმართვას;

2.2. ბიბლიოთეკა თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს საქართველოს კანონებით, კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით, სკოლის წესდებით და ამ წესის შესაბამისად.

2.3. ბიბლიოთეკას ხელმძღვანელობს ბიბლიოთეკის გამგე.

მუხლი 3. ბიბლიოთეკის მუშაობის განრიგი

3.1. ბიბლიოთეკა მუშაობს ორშაბათიდან პარასკევის ჩათვლით 10:00 საათიდან 18:00 საათამდე, შესვენება 13:00 საათიდან 14:00 საათამდე.

3.2. სკოლის ბიბლიოთეკა შაბათ-კვირას და საქართველოს შრომის კოდექსით გათვალისწინებულ უქმე დღეებში არ მუშაობს.

მუხლი 4.ბიბლიოთეკით სარგებლობის წესები

4.1. ბიბლიოთეკით სარგებლობის უფლება აქვთ ბიბლიოთეკაში გაწევრიანებულ პირებს.

4.2. ბიბლიოთეკაში გაწევრიანების უფლება აქვთ:

ა. სკოლის პროფესიულ სტუდენტებს;

ბ. სკოლის პერსონალს;

მუხლი 5.ბიბლიოთეკაში პროფესიული სტუდენტების გაწევრიანება

5.1. სკოლის პროფესიული სტუდენტის ბიბლიოთეკაში გაწევრიანება ხდება სტუდენტობის პერიოდში ერთხელ.

5.2.პროფესიული სტუდენტი, რომელიც ერთხელ გაწევრიანდება სწავლების პერიოდში, რჩება ბიბლიოთეკის წევრად სწავლების მთელი პერიოდისათვის.

5.3. პროფესიული სტუდენტის ბიბლიოთეკაში გაწევრიანება დასტურდება მის მიერ მკითხველის ფორმულარის შევსებით.

5.4. სკოლის პროფესიულ სტუდენტისათვის ბიბლიოთეკაში გაწევრიანება უფასოა

მუხლი 6.ბიბლიოთეკაში პერსონალის გაწევრიანება

6.1. სკოლის პერსონალის ბიბლიოთეკაში გაწევრიანება ხდება მათ მიერ შესაბამის პოზიციებზე ყოფნის განმავლობაში.

6.2. პერსონალის ბიბლიოთეკაში გაწევრიანება დასტურდება მის მიერ მკითხველის ფორმულარის შევსებით.

6.3. სკოლის პერსონალისათვის ბიბლიოთეკაში გაწევრიანება უფასოა.

მუხლი 7. ბიბლიოთეკიდან წიგნების გატანა და დაბრუნება

7.1. წიგნები, რომლებიც ბიბლიოთეკას აქვს მხოლოდ თითო ეგზემპლარი, გამონაკლისის გარეშე, ბიბლიოთეკიდან არ გაიცემა. ასეთი წიგნებით სტუდენტს შესაძლებლობა აქვს ისარგებლოს მხოლოდ სამკითხველო დარბაზში, ან ქსეროქსზე გადაიღოს მისთვის საჭირო ადგილები, თუ მთელი წიგნი.

7.2.პროფესიულ სტუდენტს შეუძლია ბიბლიოთეკიდან გაიტანოს წიგნები, რომლებიც ბიბლიოთეკაში მოიპოვება რამდენიმე ეგზემპლარის სახით. უპირატესად გაიცემა დაქსეროქსებული ეგზემპლარი, თუკი ასეთი არსებობს.

7.3. ბიბლიოთეკიდან წიგნი გაიცემა ხუთი სამუშაო დღის ვადით.

7.4.მკითხველი ვალდებულია წიგნი დაუბრუნოს ბიბლიოთეკას.

7.5.თუ მკითხველს წიგნი კვლავაც სჭირდება, მას შეუძლიაის ხელახლა გაიტანოს (ისევ ხუთი სამუშაო დღის ვადით), იმ შემთხვევაში, თუ კი წიგნზე არშემოსულა სხვა განაცხადი.

7.6. თუ წიგნის დაბრუნება ბიბლიოთეკაში არ მოხდა საჭირო დროს, აუცილებლად უნდა შეატყობინოთ ბიბლიოთეკის გამგეს დროულად არ დაბრუნების მიზეზი. მიზეზის არასაპატიოდ ჩათვლის შემთხვევაში წიგნის გამტანი ვალდებულია დააბრუნოს წიგნი ორი დღის ვადაში.

7.7.წიგნის დაკარგვის ან ისეთი დოზით დაზიანების შემთხვევაში,როდესაც მისი გამოყენება შეუძლებელია, წიგნის გამტანი ვალდებულია ბიბლიოთეკაში მოიტანოს იგივე სახის წიგნი ან აანაზღაუროს გატანილი წიგნის საფასური.

7.8.წიგნის გატანის ვადის გახანგრძლივება შეიძლება მხოლოდ ორჯერ.

7.9..ბიბლიოთეკის გამგეს შეუძლია მოითხოვოს წიგნის თუ ბიბლიოთეკიდან გატანილი რომელიმე სხვა ნივთის (დისკის, ვიდეო-კასეტის) ვადაზე ადრე დაბრუნება. ასეთ შემთხვევაში მკითხველი ვალდებულია წიგნი დააბრუნოს შეტყობინებიდან ერთი დღის განმავლობაში.

მუხლი 8. ბიბლიოთეკაში ქცევის წესები

8.1.ბიბლიოთეკით მოსარგებლე ვალდებულია:

ა)წიგნის გამოყენების შემდეგ თვითნებურად არ დადოს წიგნი თაროზე,

ბ)წიგნი უნდა მიუბრუნოს ბიბლიოთეკის გამგეს,რომელიც თვითონ დააბრუნებს მას ადგილზე.

გ)წიგნის მისთვის გადანახვის სურვილის შემთხვევაში თხოვნით მიმართოს ბიბლიოთეკის გამგეს.

დ)დაუშვებელია სადილობა ბიბლიოთეკაში.

ე) ნებადართულია მხოლოდ ბოთლში ჩამოსხმული წყლის ან უალკოჰოლო სასმელის თან ქონა.

8.2. ბიბლიოთეკაში სასტიკად აკრძალულია:

ა)მოწევა,

ბ)ხმაური და საუბარი.

გ)წიგნის არასწორად დადება, მისი დამალვის, ანუ სხვა სტუდენტისათვის წიგნის გამოყენების ხელის შეშლის მიზნით.

დ)წიგნის ან სასწავლო მასალების დაზიანება, დაფხაჭნა და ფურცლების ამოგლეჯა.

8.3.აღნიშნული წესებისადმი დაუმორჩილებლობის შემთხვევაში ბიბლიოთეკის გამგე უფლებამოსილია დაუწესოს ბიბლიოთეკით სარგებლობის შეზღუდვა ასეთ მომხმარებელს.

მუხლი 9. დასკვნითი დებულებები

1. ბიბლიოთეკით სარგებლობის წესს ბრძანებით ამტკიცებს რექტორი.

2.ამ დებულებაში ცვლილების ან/და დამატების შეტანა ხდება რექტორის ბრძანებით